

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო
ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს**

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში „მერი“) სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) საქმიანობის, რეკომენდაციათა შემუშავების და მერთან ურთიერთობის წესსა და პირობებს.
- 1.2. საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიით“ და წინამდებარე დებულებით.
- 1.3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის საბჭოს მოქმედების არიალია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი.
- 1.4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საბჭოს ადგილსამყოფელია საქართველო, ქალაქ ქუთაისი, რუსთაველის ქ. #3.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოს პრინციპები და ამოცანები

- 2.1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო საქმიანობას განახორციელებს შემდეგი პრინციპების საფუძველზე:
 - ა) კანონიერება; ბ) თანასწორობა; გ) საჯაროობა; დ) მიუკერძოებლობა; ე) კოლეგიურობა;
 - ვ) საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა;

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოს მიზანი და ამოცანები

- 3.1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოს მიზანია ხელი შეუწყოს ეფექტური მმართველობის განხორციელებას გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და თანასწორობის პრინციპების საფუძველზე, მოქალაქეთა ჩართულობით.
- 3.2 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოს ამოცანებია:
 1. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;
 2. საბჭოს წევრების მიერ, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მომსახურების, საბიუჯეტო პროგრამების განხორციელების და შესრულების პროცესის მონიტორინგი - შეფასების ინდიკატორების საშუალებით;
 3. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის, საჯარო განხილვების/ფორუმების საშუალებით, მათ შორის ელექტრონული პლატფორმების მეშვეობით მიღებული რეკომენდაციების განხილვა/ შემუშავება.
 4. საბჭოს შეხვედრებზე, რეკომენდაციების მოსამზადებლად, შემოსული საკითხების და მათი გადაწყვეტის გზების შემუშავება.

მუხლი 4. მრჩეველთა საბჭოს სტრუქტურა, ხელმძღვანელობა, მუშაობისა და გადაწყვეტილებების მიღების წესი

4.1. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი. საბჭოს თავმჯდომარეს და მოადგილეს თავის შემადგენლობიდან სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საბჭო, ხოლო, მდივნის ფუნქციას ერთ-ერთ წევრს აკისრებს საბჭოს თავმჯდომარე.

4.2. საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას, უძღვება საბჭოს სხდომებს, უზრუნველყოფს საბჭოს მიზნების, ამოცანებისა და უფლება-მოვალეობების შესრულებას. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მოადგილე.

4.3. საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს წევრების ინფორმირებას, ახდენს საბჭოს სხდომის ოქმების შედგენას და აღრიცხვას. მდივანი უზრუნველყოფს დოკუმენტაციის წარმოება/დაარქივებას, მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში, ინფორმაციის საჯაროობის მიზნით პროაქტიულად გამოქვეყნებას.

4.4. საბჭო უფლებამოსილია კონკრეტული საკითხის განხილვისას, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებისას მოიწვიოს სხვადასხვა სფეროს ექსპერტები და სპეციალისტები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოს მუშაობაში და რჩევებს/მოსაზრებებს/დასკვნებს მიაწვდიან საბჭოს წევრებს.

4.5. საბჭო უფლებამოსილია:

4.5.1. განიხილოს:

ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი;

ბ) მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები;

გ) მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები;

დ) ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები;

ე) სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები;

ვ) მოამზადოს და წარუდგინოს მერს რეკომენდაციები ქუთაისის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ;

ზ) საბჭო უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ქუთაისის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის გამოკითხვებსა და საზოგადოებრივ განხილვებში, ასევე პროექტების განხილვების პროცესში, უზრუნველყოს მოსახლეობის ჩართულობა;

4.6. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომაზე ღია კენჭსყრით. საბჭო იკრიბება ყოველი თვის მესამე კვირის პარასკევს, საჭიროებიდან გამომდინარე ნებისმიერ დროს. მერის საბჭოს სხდომის მოწვევა ხდება მერის ბრძანების საფუძველზე საბჭოს თავმჯდომარის მიერ საბჭოს წევრების შესაბამისი ინფორმირების მეშვეობით.

4.7. საბჭოს მდივანი თავმჯდომარის დავალებით ადგენს დღის წესრიგს და მას წინასწარ აწვდის საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საბჭოს სხდომის გამართვის ადგილის, თარიღის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე 7 დღით ადრე.

4.8. საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია, თუ სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3 მაინც. საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობა, საბჭოს წევრების ხმათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4.9. ერთი და იგივე საკითხზე ქვორუმის ზედიზედ ორჯერ შეუკრებლობის შემთხვევაში მერი უფლებამოსილია საკითხი გადაწყვიტოს საბჭოზე გაუტანლად.

4.10. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

4.11. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები, წარედგინება მერს შემდგომის რეაგირებისთვის. განსხვავებული მოსაზრებების მქონე წევრების წინადადებები და რეკომენდაციები ასახული იქნება სხდომის ოქმში.

მუხლი 5. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა და ფორმირების წესი

5.1 საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს ქალაქის მერი.

5.2 მრჩეველთა საბჭო შედგება არაუმეტეს 25 წევრისაგან, რომელთა 1/3 არის განსხვავებული სქესის წარმომადგენელი.

5.3 საბჭოს შემადგენლობაში შედიან პროფესიული ნიშნით შერჩეული სპეციალისტები შემდეგი სფეროდან: ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები.

5.4. საბჭოს მუშაობაში მოსახლეობის მეტი რაოდენობით ჩართულობის მიზნით, მოხდება საბჭოში მოსახლეობის წარმომადგენლების ყოველწლიური როტაცია.

5.5. საბჭო ფუნქციონირებს მერის უფლებამოსილების ვადით.

5.6. საბჭოს წევრს უფლება აქვს ნებაყოფლობით დატოვოს მერის საბჭოს წევრობა მერის სახელზე დაწერილი განცხადების საფუძველზე.

5.7. მრჩეველთა საბჭოს წევრს უფლება აქვს წერილობით ან/და ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (ელექტრონული ფოსტა, ჩატი და სხვა) გამოხატოს პოზიცია განსახილველი საკითხის შესახებ.

5.8. თუ საბჭოს წევრი არ ესწრება საბჭოს სხდომებს ზედიზედ 3 /სამი/ თვის განმავლობაში, საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს საბჭოს წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

მუხლი 6. მერის ურთიერთობები საბჭოსთან

6.1. მერი ვალდებულია მის მიერ დამტკიცებულ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები. მერი უფლებამოსილია აგრეთვე საბჭოს განსახილველად წარუდგინოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული მე-4, 54-ე, 106¹ მუხლებით გათვალისწინებული საკითხები.

6.2. საბჭო, უფლებამოსილია რეკომენდაცია/წინადადებები წერილობით წარუდგინოს მერს.

6.3. მრჩეველთა საბჭო ყალიბდება საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86¹ საფუძველზე. მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაცია ექვემდებარება პროაქტიულ გამოქვეყნებას და ატარებს ოფიციალურ ხასიათს. მერი უფლებამოსილია არ გაიზიაროს საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაცია/წინადადება/მოსაზრება/შენიშვნა.

მუხლი 7. მრჩეველთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

7.1 მერი საბჭოს უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაო ფართით, ტექნიკური აღჭურვილობითა და სამუშაო მასალებით.

7.2 საბჭოს კონკრეტული საქმიანობა და ინიციატივები ასევე შესაძლებელია დაფინანსებული იქნეს კერძო პირების ან დონორი ორგანიზაციების მიერ.

7.3 კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში მერი ხელს უწყობს საბჭოს სამოქალაქო ინიციატივების, პროექტების და სხვა აქტივობების რეალიზებას.

მუხლი 8.დასკვნითი დებულებები

8.1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობასა და დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

